4.3. „შემსყიდველი" ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს „მიმწოდებელს" საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების რაოდენობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

## 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. „შემსყიდველი" ვალდებულია :
- გადაუხადოს „მიმწოდებელს" შეთანხმებული ფასი;
- მიიღოს ნაყიდი ქონება.

5.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:
- უკან დაუბრუნოს „მიმწოდებელს" მიწოდებული საქონელი, თუ მისი ხარისხი არ შეესაბამება სტანდარტებს.

5.3. „მიმწოდებელი" ვალდებულია:
- გადასცეს „შემსყიდველს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი დადგენილ ვადებში;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

5.4. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:
- მოსთხოვოს „შემსყიდველს" ხელშეკრულებით შეთანხმებული ფასი.

## 6. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 117 (ასჩვიდმეტი) ლარი (ფასდათმობების, გადასახადების, ტრანსპორტირების, დაზღვევის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით)

## 7. ფ ა ს ე ბ ი

ამ მუხლში აისახება ის შემთხვევები, როდესაც დასაშვები იქნება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასების გადასინჯვა (მაგ.ინფლაციის მაღალი დონე, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილება, საგადასახადო რეჟიმის შეცვლა და სხვა). გარდა ამისა, უნდა განისაზღვროს ხელშეკრულების ფასის ცვლილების მაქსიმალურად დასაშვები ზღვარი და ყოველ კონკრეტულ გარემოებასთან მიმართებაში – ცვლილებების გაანგარიშების წესი.

## 8. ანგარიშსწორების პირობები

8.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: გადარიცხვა

8.2. ანგარიშსწორების ვადა (გრაფიკი) საქონლის მიღების შემდეგ

(მაგ. საქონლის გადატვირთვის შემდეგ, საქონლის მიღების შემდეგ.

წინასწარი ანგარიშსწორება გარკვეული პროცენტით (ამ შემთხვევაში „მიმწოდებელმა" უნდა წარმოადგინოს საბანკო თანხის შესაბამისი ოდენობის გარანტია), ანგარიშსწორება ეტაპობრივად, შემსყიდველის ფაქტიური მიწოდებების მიხედვით ან სხვა დასაშვები ანგარიშსწორების გრაფიკის განსაზღვრა სხვადასხვა ვარიანტების კომბინირებით)

8.3. ანგარიშსწორების განხორციელებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს, შემდეგი დოკუმენტები ანგარიშ-ფაქტურა და მიღება-ჩაბარების აქტი.

(ანგარიშ-ფაქტურა, მიღება-ჩაბარების აქტი და ა.შ. )